- 5.9 ამ ხელშეკრულების ვადის გასვლით ან ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან გონივრულ ვადაში, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, შეასრულონ ვადის გასვლით ან ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოშობილი ვალდებულებები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთმანეთის წინაშე. ამასთან, ეს ვალდებულებები ძალაშია მათ სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

VII. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

- ჩამოყალიბებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში;
- აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;
- ხელშეკრულების ხელმოწერა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

VII. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან სომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ახდენს

- ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით;
- 7.2 მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

VIII. კონფიდენციალობა

- 8.1 ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

IX. დავების გადაწყვეტა

- 9.1 ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 9.2 მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
- 9.3 მხარის პრეტენზია, მეორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობით ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;
- 9.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

X. დასკვნითი დებულებები



- 10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ვერსიად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
- 10.2 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი;
- 10.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან;
- 10.4 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, დანართში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

XI. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
 ბანკი: "საქართველოს ეროვნული ბანკი"
 ა/ა: 400161800

შპს "ახალი საქალაქშენპროექტი"
 ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
 კოდი: 220101480
 ა/ა: 36087781

XII. მხარეთა ხელმოწერები

ს.ს. "ლიბერთი ბანკი"

 ვლადიმერ გურგენიძე


შპს "ახალი საქალაქშენპროექტი"

 ბაკურ მჭედნაშვილი


ლ. 251/2010

დაკვ. № 213/12

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 15 დეკემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქაღალაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო სს „ლიბერთი ბანკი“-ს შესყიდვებისა და ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსმა ლევან ჩაჩუამ ჩაიბარა 2010 წ. 01 დეკემბრის № 213/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - სს „ლიბერთი ბანკი“-ს სათაო ოფისის შენობაში დამატებითი ლიფტის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკურ ეზოში გათბობა-გაგრილების სისტემების მოწყობის პროექტი, სანაპიროს ქ. № 2-ში სს "ლიბერთი ბანკი"-ს ფილიალის შენობაზე კიბის მოწყობის კონსტრუქციული ნაწილის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 6975.0 (ექვსი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარი

გადმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 6975.0 (ექვსი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარს

სამუშაო ჩააბარა :

[Handwritten Signature]
ბ. მირიანაშვილი



სამუშაო ჩაიბარა :

[Handwritten Signature]
ლ. ჩაჩუა

"....."..... 2010 წ.

ბ.ა.

ხელშეკრულება №224/12

ქ. თბილისი

" 10 " " დეკემბერი " 2010 წელი

ს.ს. "ლიბერთი ბანკი" (შემდგომში "დამკვეთი" ან "ბანკი") მისი გენერალური დირექტორის ვლადიმერ გურგენიძის სახით, ერთის მხრივ და შპს "ახალი საქალაქშენპროექტი" (ს/კ: 205286616) (შემდგომში შემსრულებელი), მისი დირექტორის ბაკურ შირიანაშვილი სახით, მეორეს მხრივ ერთობლივად - მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე - მხარე, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 "დამკვეთი" უკვეთავს, ხოლო "შემსრულებელი" ვალდებულია შეასრულოს სს "ლიბერთი ბანკი"-ს 13 პაველიონის საკადასტრო აზომებით ნახაზის და ტოპოგრაფიული გეგმების შედგენა (დანართი №1).

II. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 ბანკი უფლებამოსილია:

• შემსრულებელს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

2.2 ბანკი ვალდებულია:

• მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება 3.1 პუნქტში გათვალისწინებული წესით.

2.3 შემსრულებელი უფლებამოსილია:

• ბანკს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

2.4 შემსრულებელი ვალდებულია:

• შეასრულოს 1.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო 2010 წლის 30 დეკემბრამდე.

III. ანგარიშსწორება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 1900 (ერთი ათას ცხრაასი) ლარს, გადასახადების ჩათვლით;

3.2 ბანკი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება სამუშაოს დასრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

IV. პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით, თითოეული მხარე, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

4.2 ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს დააკისროს საურავი იმ პერიოდისთვის არსებული ფინანსური ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასეთი უფლებით მხარეს შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ, და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

4.3 პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

V. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

5.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია ამ ხელშეკრულების საგნის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, თუ ამ ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე მხარეები არ შეთანხმდებიან ამ ხელშეკრულების ამავე ვადით და პირობებით ან განსხვავებული ვადით ან/და პირობებით გაგრძელებაზე.

5.2 ეს ხელშეკრულება მასში ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შეიძლება შეწყდეს ვადის გასვლით ან ვადამდე.

5.3 ეს ხელშეკრულება ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება შეწყდეს:

- მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
- ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების დაწყებით;
- ერთ-ერთი მხარის უფლებამართიანობის ან ქმედუნარიანობის შეწყვეტით;
- ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცალმხრივად შეწყვეტით;
- ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

5.4 მხარე, რომელიც მიიღებს ამ ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამასთან, თუ ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეს ხელშეკრულება შესაძლებელია ან უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში, მხარეები კანონით ნებადართულ ფარგლებში ითანამშრომლებენ რომელიმე მხარისათვის ამგვარი შეწყვეტის შედეგად მიყენებული შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად ან მაქსიმალურად შესამცირებლად.

5.5 ამ ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში:

- თუ შეწყვეტა მოხდა მხარეთა ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბრალეული ქმედების გარეშე, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურება;
- თუ შეწყვეტა მოხდა შემსყიდველის ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბრალეული ქმედების საფუძველზე, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურება;
- თუ შეწყვეტა მოხდა მიმწოდებლის ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბრალეული ქმედების საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია:
- არ მიიღოს ან დააბრუნოს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურება და არ აანაზღაუროს იგი;
- მიიღოს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურება და აანაზღაუროს იგი.

5.6 ამასთან, თუ 5.5 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობის დადგომის მომენტისთვის აღმოჩნდება, რომ მომსახურების საფასური ან მისი ნაწილი შემსყიდველის მიერ გადახდილია წინასწარ, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა.

5.7 ამ ხელშეკრულების ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

5.8 მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის საფუძველზე მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან.

5.9 ამ ხელშეკრულების ვადის გასვლით ან ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან გონივრულ ვადაში, ბრალეული გატყობინების გარეშე, შეასრულონ ვადის გასვლით ან ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოშობილი ვალდებულებები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ერთმანეთის წინაშე. ამასთან, ეს ვალდებულებები ძალაშია მათ სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

VI. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

- ჩამოყალიბებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში;
- აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;
- ხელშეკრულების ხელმოწერა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

VII. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგაველნას ახდენს ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით;

7.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

VIII. კონფიდენციალობა

8.1 ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

IX. დავების გადაწყვეტა

- 9.1 ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 9.2 მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
- 9.3 მხარის პრეტენზია, მეორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობით ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;
- 9.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

X. დასკვნითი დებულებები

- 10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
- 10.2 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი;
- 10.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან;
- 10.4 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, დანართში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

XI. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ბანკი: "საქართველოს ეროვნული ბანკი"
ა/ა: 400161800

შპს "ახალი საქალაქშენპროექტი"
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
კოდი: 220101480
ა/ა: 36087781

XII. მხარეთა ხელმოწერები

ს.ს. "ლიბერთი ბანკი"

შპს "ახალი საქალაქშენპროექტი"


ვლადიმერ გურგენიძე





დაკვ. № 224/12

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

2010 წლის 29 დეკემბერი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერმა, შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ შპს. "ახალი საქალაქმშემპროექტი"-ს დირექტორმა ბაკურ მირიანაშვილმა ჩააბარა, ხოლო სს „ლიბერთი ბანკი“-ს შესყიდვებისა და ექსპლუატაციის დეპარტამენტის უფროსმა ლევან ჩაჩუამ ჩაიბარა 2010 წ. 10 დეკემბრის № 224/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია - სს 'ლიბერთი ბანკი'-ს 13 პაველიონის საკადასტრო აზომვითი ნახაზის და ტოპოგრაფიული გეგმების შედგენა.

დაკვეთის სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 1900.0 (ერთი ათას ცხრაასი) ლარი

გაღმოსარიცხი თანხის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით შესრულებული სამუშაოდან შეადგენს 1900.0 (ერთი ათას ცხრაასი) ლარს

სამუშაო ჩააბარა :

 ბ. მირიანაშვილი

სამუშაო ჩაიბარა :

 ლ. ჩაჩუა

„29“ 12 2010 წ.

ბ.ა.



2010 წ.

პარლამენტის შენობაში არსებული საინჟინრო კომუნიკაციების სქემების შედგენითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 10 ივნისს თბილისში და მოქმედებს ა/წ 5 ნოემბრამდე.

შემსყიდველი - საქართველოს პარლამენტის აპარატი, მისი უფროსის დაეთ ჯანიაშვილის სახით. (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8, სახელმწიფო ხაზინა. ანგ №200122900, საიდენტიფიკაციო კოდი 202058245).

მიმწოდებელი - სს „საქქელაქმშენპროექტი“, მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით. (ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74, სს სახალხო ბანკი, კოდი 220101480, ა/ა 360500116, საიდენტიფიკაციო კოდი 204851124).

ერთის მხრივ შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეადგინოს და მიაწოდოს შემსყიდველს საქართველოს პარლამენტის შენობაში არსებული საინჟინრო კომუნიკაციების სქემები (ელექტრონული ვერსიების ჩათვლით) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს: 40156 (ორმოციათას ასორმოცდათექვსმეტი) ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვით)

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, პირდაპირს და ირიბს დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. ხარისხი:

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შესრულდეს შემსყიდველის სურვილის უპირატესი გათვალისწინებით.

4. ანგარიშსწორების წესი და ხელშეკრულების უზრუნველყოფა:

4.1. ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის გადარიცხვა განხორციელდება მიმწოდებლის ანგარიშზე წინასწარ, მიმწოდებელის მიერ შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდგომი ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ერთი კვირის განმავლობაში.

4.2. საქონლის და სამუშაოების მიწოდება, ხორციელდება მხოლოდ ხაზინაში რეგისტრირებული ვალდებულების ფარგლებში.

4.3. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი, გადახდის ფორმა - უნაღდო.


4.4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისთვის, ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საბანკო გარანტიას ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

4.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის განკარგვის უფლება რჩება შემსყიდველს.

4.6. ორივე სახის გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 დღით.

5. კონტროლი, მიწოდების ვადა, წესი და ადგილი:

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს შესრულებული სამუშაოს შემოწმება-კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს ელადიმერ ხუციშვილს.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: 

შემსყიდველს (უფლებამოსილი პირი) უფლება აქვს, გამოვლენილ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოზე წარუდგინოს დასაბუთებული რეკლამაცია მიმწოდებელს და არ მიიღოს იგი. მიმწოდებელი ვალდებულია 4 დღის განმავლობაში გამოასწოროს ხარვეზი. შემსყიდველს აქვს უფლება თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის დროულად აღმოფხვრას მოითხოვოს თანხის დაბრუნება.
5.2. მიმწოდებელმა პარლამენტის შენობაში არსებული საინჟინრო კომუნიკაციების სქემები (ელექტრონული ვერსიების ჩათვლით) უნდა შეადგინოს და მიაწოდოს შემსყიდველს იურიდიულ მისამართზე ა/წლის 15 ოქტომბრამდე.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა:

- 6.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
- 6.2. მიმწოდებელი ვალდებულია ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს შემსყიდველის ნების უპირატესი გათვალისწინებით ხარისხიანად და კეთილსინდისიერად.
- 6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დროულად შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება საურაჟი ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ყოველ გადაგადაცდენილ დღეზე.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.
- 7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუღვერობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ბიუჯეტის სეკვესტრით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სხვა პირობები:

- 8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.
 - 8.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
 - 8.3. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
- მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
- წინამდებარე ხელშეკრულება დაბეჭდილია ორი თანაბარი ძალის მქონე ვეზემქლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.

შემსყიდველი:

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი:



[Handwritten signature]
დავით ჯანიაშვილი

მიმწოდებელი:

სს „საქქალაქმშენპროექტი“-ს დირექტორი:



[Handwritten signature]
ბაკურ მირიანაშვილი

აქტი № 613/10

ქ. თბილისი

12 ივნისი 2009 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი კ. სხულუხია, ამავე დეპარტამენტის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ვლ. ზუციშვილი და მეორე მხრივ, სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენპროექტის“ დირექტორი ბ. მირიანაშვილი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ თანახმად 2009 წლის 10 ივლისს დადებული №3/299 ხელშეკრულებისა სააქციო საზოგადოება „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ შესრულებულა პარლამენტის შენობაში არსებული საინჟინრო კომუნიკაციების სტუმბი (ელექტრული ვერსიების ჩათვლით). წარმოდგენილია გრაფიკული ნაწილი A3 ფორმატის 175 ფურცლიანი 3 ეგზემპლარი ალბომი, კომპაქტური დისკი 2 ეგზემპლარი.


ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 40 156 ლარს.



კ. სხულუხია

ვლ. ზუციშვილი

ვლ. ზუციშვილი



ბ. მირიანაშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №52

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო

2009 წლის 23 თებერვალი

ერთის მხრივ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო,
მისი დირექტორის ა. ურუშაძის სახით,

მდებარე ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51 (შემდგომში - „შემსყიდველი“)
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ სს „საქქალაქმშენპროექტი“

მისი დირექტორის ბ. მირიანაშვილის სახით,

მდებარე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74 (შემდგომში „მიმწოდებელი“)
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი სააგენტოს ოფისების საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებელი და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე არაუმეტეს 87 000 (ოთხმოცდაშვიდი ათასი ლარი) ლარისა (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. თუცემკლ სელსექციონის განყოფილებულ ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მიჩნეული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება, სატენდერო წინადადებაზე დართული ყველა დოკუმენტი.
 - გ) გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი;
 - დ) ტექნიკური დავალება;
 - ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
 - ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

„შემსყიდველი“

სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტო
ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის
ქ. №51,
სახაზინო კოდი №1168
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927



„მიმწოდებელი“

სს „საქქალაქმშენპროექტი
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.
№74
ს/ს „სახალხო ბანკი“
ცენტრალური ფილიალი,
კოდი №220101480
ა/ა №36050011
საიდენტიფიკაციო კოდი №204851124



ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენენ სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას. ნებისმიერი განსხვავებული პირობები და დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს შეტანილი მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საშუალო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

6.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.5 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

7.2 ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.4 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტი).

92 ანგარიშსწორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

10.1 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარუდგინოს შემსყიდველს.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე

დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღაზავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, უბედურებით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

18.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. გამოყენებული სამართალი

19.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცელება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

21.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზაზენაირი სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გზაზენაირი გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე

შხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზაწინის
გაგზავნის მეშვეობით.

212 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან
შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან
რომელი უფრო გვიან ღვება.

22. გადასახადები და ბაჟები

22.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან
დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგერის თანხის, მოსაკრებლების და სხვა
გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

22.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების
გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის
გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

- 1.1. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი - სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51.
- 1.2. მიმწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი - სს „საქქალაქმშენპროექტი“, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განხორციელებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
- 2.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია განხორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი;
- 2.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელისშემშლელი პირობები და წარუდგინოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

3. მომსახურების გაწევის პირობები

- 3.1. მომსახურების გაწევა მოიცავს „შემსყიდველის“ ოფისების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას.
- 3.2. „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს.
 - 3.2.1. ობიექტის არქიტექტურულ-ვეგმარებითი გადაწყვეტა ავეჯის განლაგების ჩვენებით.
 - 3.2.2. ელექტრო წერტილების განლაგების სქემა.
 - 3.2.3. მუშა ნახაზს.
 - 3.2.4. სრული დიზაინის ვირტუალური ჩვენებით (3დ ვერსია).
 - 3.2.5. კონსტრუქციულ ნახაზს (საჭიროების შემთხვევაში)
 - 3.2.6. შესასრულებელი სამუშაოთა ჩამონათვალი და მოცულობა.
 - 3.2.7. განმარტებითი ბარათი.
- 3.3. საპროექტო მომსახურების 1მ²-ის ღირებულება შეადგენს - 8,7 (რვა ლარი და 70 თეთრი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის ვადები

